

## სკოპინგის დასკვნა № 36

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** ძირითადი არაორგანული ნაერთების (ამორფული ბორის) წარმოება;

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“;

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა N12;

**განცხადების შემოსვლის თარიღი:** 30.05.2022;

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** შპს „გამა კონსალტინგი“

### ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია - ქ. რუსთავში, შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ ძირითადი არაორგანული ნაერთების (ამორფული ბორის) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, პროექტის მიზანია ქ. თბილისის მჭიდროდ დასახლებულ უბანში არსებული შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ ქიმიური ნივთიერებების წარმოების (ამორფული ბორის ელექტროლიზური მეთოდით მიღება) - ქ. რუსთავში გადატანა. არსებულ საქმიანობაზე 2022 წლის 8 აპრილს შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრს“ მიღებული აქვს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N 2-331 ბრძანება).

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ ამორფული ბორის წარმოებას გეგმავს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა N12-ში. საპროექტო საწარმოს განთავსება დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო-სამეურნეო ტიპის, მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.07.01.772). საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 950 მ-ში. საპროექტო საწარმოს მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილია სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის სამრეწველო ობიექტი, მათ შორის ფეროშენადნობების წარმოების საწარმო. დაგეგმილი საქმიანობისთვის შერჩეული ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია. ტერიტორიაზე წარმოდგენილი არ არის ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ხოლო მცენარეული საფარი გვხვდება მხოლოდ ტერიტორიის პერიმეტრზე, ხელოვნური გამწვანების ზოლის სახით. საპროექტო ნაკვეთზე არსებული მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის გათვალისწინებით ტერიტორიაზე ფაუნის წარმომადგენლების მოხვედრის ალბათობა მინიმალურია. საპროექტო ტერიტორიამდე მისვლა შესაძლებელია მშვიდობის ქუჩიდან.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია. დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილ იქნა ქ. თბილისის მჭიდროდ დასახლებულ

უბანიდან არსებული წარმოების გადატანის საჭიროების და წარმოებულ პროდუქციაზე-ამორფულ ბორზე მაღალი მოთხოვნილების გათვალისწინებით. ადგილმდებარეობის ალტერნატივებიდან (ქ. ფოთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - ს/კ 04.01.01.839; ქ. რუსთავის საწარმოო ზონა - ს/კ 02.07.01.772) სხვადასხვა გარემოებების ანალიზის საფუძველზე - მათ შორის ტერიტორიაზე ტექნოლოგიური ციკლის მოწყობის სიმარტივის, უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილის, არსებული საწარმოდან ტექნოლოგიური მოწყობილობების ტრანსპორტირებით გამოწვეული გარემოსდაცვითი და ეკონომიკური რისკების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა საწარმოს ქ. რუსთავის საწარმოო ზონაში განთავსების ალტერნატივას.

საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია საწარმოო დანიშნულების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი და საოფისე შენობა-ნაგებობების მოწყობა. შენობების უმრავლესობა იქნება ერთსართულიანი და ორსართულიანი გარდა საწარმოო შენობისა, რომლის სიმაღლე 102 მ იქნება. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია საწარმოს გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოში ასევე მოეწყობა და იფუნქციონირებს სარემონტო-მექანიკური უბანი, რომელიც შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის“ ბაზაზე 1963 წლიდან არსებობს. სარემონტო-მექანიკურ უბანზე დაგეგმილია ასევე სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის (ახალი სახარატო; საღარავი, საბურღი, სალესი და სალუნი ჩარხების; ასევე საჭრელი აგრეგატების, ჰიდრავლიკური წნეხის, მუფელის ღუმლის და სხვა) დანადგარების მონტაჟი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს მოწყობა მოხდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.

საწარმო იმუშავებს 330 დღე წელიწადში. ამორფული ბორის წარმოება დაგეგმილია ქიმიური მიმოცვლის მეთოდის გამოყენებით. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ახალ ტერიტორიაზე გადატანით შესაძლებლობა იქნება წარმადობის გაზრდის და საჭიროების შემთხვევაში დამატებით სხვა საქმიანობების განხორციელების. **საპროექტო საწარმოს წარმადობისა და დამატებით სხვა საქმიანობების განხორციელების შესახებ ინფორმაცია გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში ბორის სამფტორიდის შემოტანა განხორციელდება წელიწადში 2-4 ჯერ (4÷12 ტ ოდენობით), მაღალი წნევის (40÷60 ლ) ცილინდრების საშუალებით და დასაწყობდება შენობაში. ანიზოლის შემოტანა განხორციელდება წელიწადში 1- 2 ჯერ (3÷6 ტ ოდენობით). ბორის სამფტორიდისა და ანიზოლის დასაწყობების ადგილები ალჭურვილი იქნება სახანძრო (კვამლის/ალის) დეტექტორებითა და ხანძარჩამქრობი სისტემებით. დაგეგმილი წარმოების ფარგლებში (ბორ-10 იზოტოპით გამდიდრებული პროდუქტის დაგროვებისათვის; ანალიზური გაზომვებისთვის) გამოიყენება ასევე თხევადი აზოტი, თვეში - 2 ტონა. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, თხევადი აზოტის მიწოდება შესაძლოა განხორციელდეს სს „რუსთავის აზოტის“ საწარმოდან ან საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდეს 60-80 კგ/დღე წარმადობის თხევადი აზოტის გენერატორი. **მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს დაგეგმილი ქიმიური წარმოებისთვის თხევადი აზოტის მიწოდების საკითხი, მათ შორის - სს „რუსთავის აზოტის“ საწარმოდან შემოტანის შემთხვევაში მოცემული იქნეს ტრანსპორტირების პირობების შესახებ ინფორმაცია, ხოლო აზოტის გენერატორის განთავსების შემთხვევაში, საპროექტო დანადგარის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია.**

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო საწარმოს სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 1,5-2 წელი. მშენებლობის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია მოეწყოს 1800 მ<sup>2</sup> სამშენებლო მოედანი, ძირითადი სამშენებლო მასალების მობილიზების მიზნით.

მშენებლობის ფაზაზე საპროექტო ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის წყალმომარაგება განხორციელდება ან ქალაქის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემიდან ან რეზერვუარებით, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას. მშენებლობის ფაზაზე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვისთვის გამოყენებული იქნება ბიოტუალეტები. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ტექნიკური და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება დაგეგმილია ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან, ხოლო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ქალაქის არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში. საწარმოში დაგეგმილი წყლით გაციების სისტემის (ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა) ტექნიკური პროცესების მიხედვით, ჩამდინარე წყლის წარმოქმნას ადგილი არ აქვს. საწარმოს ტექნოლოგიური ოთახები აღჭურვილი იქნება წყალსარინის სპეციალური საწარმოო ტრაპებით, საიდანაც წარმოქმნილი წყალი კოლექტორის გავლით დაერთდება საერთო შემკრებზე და საბოლოო კონტროლის გავლის შემდეგ შეუერთდება საერთო საკანალიზაციო სისტემას.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოწყობა-ექსპლუატაციის ფაზაზე დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ვინაიდან სანიაღვრე წყლების დამაბინძურებელი არცერთი წყარო ღია სივრცეში არ განთავსდება. მნიშვნელოვანი გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებიდან აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია 4 გაფრქვევის წყაროდან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება 500 მ-იანი ნორმირებული და უახლოესი საცხოვრებელი ზონების საზღვრებისათვის წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წინასწარი შეფასებით, უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან დაცილების მანძილის (950 მ) გათვალისწინებით, მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო დანადგარები განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, რაც შეამცირებს ხმაურის გავრცელებას, ამასთან ტექნოლოგიური დანადგარები არ გამოირჩევიან ხმაურის დონის მაღალი გავრცელებით.

მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია, როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მათ შორის, ტექნოლოგიური დანადგარების გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, წარმოიქმნება დაბინძურებული ნარეცხი ხსნარი. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ხსნარი გამოყენებული იქნება ხელახლა გაწმენდითი

სამუშაოებისთვის, ხოლო დარჩენილი (10-15%) ნარჩენი განთავსდება სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილ ადგილას. სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ მოცემული და გზმ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების, მათი გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ხმაურის გავრცელებაზე, სატრანსპორტო ნაკადებზე, რომელთა დეტალური შესწავლა-ანალიზი დაგეგმილია გზმ-ის ეტაპზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობის დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდა სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია განთავსდა აგრეთვე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავში ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 21 ივნისს. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „გამა კონსალტინგისა“ და შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

**გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:**

1. გზმ-ის ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის აღწერა;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების საჭიროების დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საკადასტრო კოდ(ებ)ის, და GPS კოორდინატების მითითებით, Shp ფაილებთან ერთად;
- საპროექტო ობიექტის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით, საპროექტო დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების/უბნების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის გავრცელების წყაროების მითითებით;
- საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- საპროექტო ტერიტორიიდან დაზუსტებული მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებამდე (სოფელი, ქალაქი), ასევე ზედაპირული წყლის ობიექტ(ებ)ამდე;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე მოქმედი/საპროექტო ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით);
- საწარმოს ადგილმდებარეობის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- საწარმოს დანადგარების, ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და ტექნოლოგიური უბნების აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- ამასთან, სარემონტო-მექანიკური უბნის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, აღნიშნული უბნის შემადგენელი და საპროექტო ინფრასტრუქტურის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ამორფული ბორის წარმოების მეთოდის/ტექნოლოგიის შესახებ. ტექნოლოგიური ციკლის სრული სქემა და დეტალური აღწერა;
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის **დაზუსტებული ინფორმაცია** საპროექტო წარმადობის და სამუშაო რეჟიმის შესახებ;
- ინფორმაცია მიღებული/წარმოებული პროდუქციის, მისი სახეობისა და რაოდენობის, დროებითი განთავსებისა და შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ინფორმაცია გამოყენებული ნედლეულისა და დანამატების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია საწარმოს ნედლეულით-დანამატებით მომარაგების, ნედლეულის-

დანამატების რაოდენობისა, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების პირობების (დასაწყობების ადგილის მითითებით) შესახებ;

- ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი ქიმიური ნივთიერებების მართვის საკითხების შესახებ, მათ შორის ნივთიერებების ტრანსპორტირების-დასაწყობების პირობების შესახებ ინფორმაცია;
- **დაზუსტებული ინფორმაცია** თხევადი აზოტის საწარმოსთვის მიწოდების შესახებ, მათ შორის - სს „რუსთავის აზოტის“ საწარმოდან შემოტანის შემთხვევაში მოცემული იქნეს ტრანსპორტირების პირობების შესახებ ინფორმაცია, ხოლო აზოტის გენერატორის განთავსების შემთხვევაში დანადგარის საპროექტო მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, მათ შორის:
  - ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესახებ;
  - საპროექტო ტერიტორიაზე მოსაწყობი სამშენებლო მოედნის შესახებ ინფორმაცია, ადგილმდებარეობისა (GPS) და მოედანზე განსათავსებელი მოწყობილობების/მასალების მითითებით;
  - სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკის შესახებ ინფორმაცია, რაოდენობის მითითებით;
  - სამშენებლო მასალებით საპროექტო ობიექტის მომარაგების შესახებ ინფორმაცია;
  - პროექტის ფარგლებში დაგეგმილი მიწის სამუშაოების აღწერა;
  - ინფორმაცია გრუნტის წარმოქმნის შესახებ, მართვის საკითხების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია ქ. თბილისში არსებული საწარმოდან - საპროექტო ობიექტზე ტექნოლოგიური დანადგარების გადატანის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და საწარმოო-ტექნიკური წყლით მომარაგების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო-ტექნიკური წყლის მართვის საკითხების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს საპროექტო ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების, მათი შესაძლო დაბინძურებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- ჩამდინარე წყლების საკანალიზაციო კოლექტორში წყლის ჩაშვებასთან დაკავშირებით საკანალიზაციო სისტემის ოპერატორთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ. ამასთან, ინფორმაცია - მოცემული წარმოებისთვის აუცილებელი სრულყოფილი ხანძარქრობის სისტემის შესახებ;
- ინფორმაცია მუშაობის უსაფრთხოების წესების შესახებ, მათ შორის: ისეთ აგრესიულ ნივთიერებასთან, როგორც არის ბორის სამფტორიდი, ასევე ანიზოლი და მისი დაშლის პროდუქტები (ფენოლი, კრეზოლები, მეთილანიზოლები), რომლებიც საკმაოდ კანცეროგენულ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ასევე ინფორმაცია მაღალი წნევის მოცულობებთან (რომლებშიც ბორის სამფტორიდი მოთავსებული) მუშაობის უსაფრთხო წესების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობისა და მოწყობის შესაძლებლობის შესახებ, გენ-გეგმაზე მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ;

- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია.

**5. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:**

- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები და გაბნევის ანგარიში, გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების მითითებით;
  - ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. მოსალოდნელი ემისიების შემცირების ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დეტალური აღწერილობა;
  - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის გეგმა. მათ შორის, 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის საწარმოში დანერგვის შესახებ ინფორმაცია, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოთა და სტანდარტის მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ (მიწისქვეშა/გრუნტის წყლები) გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (ნარჩენების მართვის გეგმა);
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მათ შორის მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების

შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე, საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;

- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ, კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზმ-ს ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი/ები, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);
- საპროექტო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, არსებული ან/და საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციათა რეაგირების გეგმა;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები, შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემაჯამებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, შესაბამისი საკონტროლო წერტილების მითითებით;
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

#### 6.1. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ საწარმო ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ქ. თბილისში, რაზეც გააჩნია შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თუმცა კომპანიის გადაწყვეტილებით, სრული ინფრასტრუქტურის გადატანა იგეგმება ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში-საპროექტო ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ინფრასტრუქტურის გადატანისა და არსებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი;
- კანონმდებლობის შესაბამისად, მოთხოვნა ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ახალ ტერიტორიაზე გადატანით შესაძლებლობა იქმნება წარმადობის გაზრდის და საჭიროების შემთხვევაში დამატებით სხვა საქმიანობების განხორციელების. საპროექტო საწარმოს წარმადობისა და დამატებით სხვა საქმიანობების განხორციელების შესახებ ინფორმაცია გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას;



- სკოპინგის ანგარიშში არ არის სათანადოდ მოცემული და გზშ-ის ეტაპზე დაზუსტებას საჭიროებს მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების, მათი გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი იქნეს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ქ. რუსთავში ჰაერის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში განისაზღვროს რამდენად შეცვლის დაგეგმილი წარმოება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საერთო ფონს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მითითებული იყოს რა სახის ღონისძიებებს დაგეგმავს და განახორციელებს კომპანია ქ. რუსთავის საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ყველა შესაძლო დაბინძურების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს რუსთავის მუნიციპალიტეტის პოზიცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ.
  - გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

#### დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება - ქ. რუსთავში, ძირითადი არაორგანული ნაერთების (ამორფული ბორის) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.